საქართველოს მთავრობის განკარგულება

№28 2017 წლის 11 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების ა(ა)იპ – ქუთაისის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო), რომ ა(ა)იპ – ქუთაისის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრს (ს/კ: 212907522) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტით, გადასცეს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. საგურამოში მდებარე უძრავი ქონება (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №72.06.08.739;

შენობა-ნაგებობა №2 და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი).

2. სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**